

შპს მარლო

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 კომპანია და მისი საქმიანობა	9
2 მომზადების საფუძველი	9
3 კომპანიის საოპერაციო გარემო	10
4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	16
6 ძირითადი საშუალებები	17
7 აქტივების გამოყენების უფლება	18
8 არამატერიალური აქტივები	18
9 მარაგები	19
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
11 წინასწარ გაწეული ხარჯები	19
12 ფული და ფულის ეკვივალენტები	20
13 საწესდებო კაპიტალი	20
14 სასესხო ვალდებულებები	20
15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
16 საგადასახადო ანარიცხები	21
17 შემოსავალი	21
18 საოპერაციო ხარჯები	21
19 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	22
20 კურსთასორისი სხვაობის წმინდა შედეგი	22
21 სხვა საოპერაციო ხარჯები	23
22 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	23
23 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები	23
24 ფინანსური რისკის მართვა	23
25 დაკავშირებული მხარეები	27
26 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	28
27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მარლოს" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამო არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

ზურაბ ინაიშვილი

მარია მიქაძაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია შპს "მარლოს" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

გ. ინაიშვილი



მ. შილაძე

ზურაბ ინაიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

მარია მიქაცაძე

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს "მარლოს" დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „მარლოს“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, ფულადი სახსრების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მენეჯმენტისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა, თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:

SARAS-A-865011

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

თბილისი, საქართველო



შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	19,329	22,797
აქტივის გამოყენების უფლება	7	23,083	24,241
არამატერიალური აქტივები	8	430	486
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		87	87
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,929	47,611
მარაგები	9	1,140	1,307
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	291	592
წინასწარ გაწეული ხარჯები	11	1,576	1,906
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,371	1,297
სულ მიმდინარე აქტივები		4,378	5,102
სულ აქტივები		47,307	52,713
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	4,822	4,822
დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები	13	25,062	22,066
გაუნაწილებელი მოგება		(42,486)	(21,536)
სულ კაპიტალი		(12,602)	5,352
ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	29,681	23,792
საიჯარო ვალდებულება	7	21,466	21,323
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		51,147	45,115
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	7	1,222	648
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	3,803	1,598
საგადასახადო ანარიცხები	16	3,737	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,762	2,246
სულ ვალდებულებები		59,909	47,361
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,307	52,713

ზურაბ ინაიშვილი

მარია მიქაცაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	19,329	22,797
აქტივის გამოყენების უფლება	7	23,083	24,241
არამატერიალური აქტივები	8	430	486
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		87	87
სულ გრძელვადიანი აქტივები		42,929	47,611
მარაგები	9	1,140	1,307
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	291	592
წინასწარ გაწეული ხარჯები	11	1,576	1,906
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	1,371	1,297
სულ მიმდინარე აქტივები		4,378	5,102
სულ აქტივები		47,307	52,713
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	4,822	4,822
დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები	13	25,062	22,066
გაუნაწილებელი მოგება		(42,486)	(21,536)
სულ კაპიტალი		(12,602)	5,352
ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	29,681	23,792
საიჯარო ვალდებულება	7	21,466	21,323
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		51,147	45,115
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	7	1,222	648
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	3,803	1,598
სავადასახადო ანარიცხები	16	3,737	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,762	2,246
სულ ვალდებულებები		59,909	47,361
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,307	52,713

გ.ინაიშვილი

ზურაბ ინაიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025



მარია მიქაცაძე

მარია მიქაცაძე

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	17	24,066	18,314
სხვა საოპერაციო შემოსავლები		2	10
საოპერაციო ხარჯები	18	(17,625)	(15,595)
საერთო მოგება/(ზარალი)		6,443	2,729
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	19	(11,923)	(12,773)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	10	(1,444)	(23)
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	(4,446)	(4,086)
კურსთასორისი სხვაობის წმინდა შედეგი	20	(660)	(660)
სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(2,289)	(68)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(14,319)	(14,881)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	22	(648)	(21)
ფინანსური ხარჯები	7, 14	(4,351)	(2,265)
საგადასახადო ხარჯი	16	(1,632)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(20,950)	(17,167)
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(20,950)	(17,167)

ზურაბ ინაიშვილი

მარია მიქაცაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	17	24,066	18,314
სხვა საოპერაციო შემოსავლები		2	10
საოპერაციო ხარჯები	18	(17,625)	(15,595)
საერთო მოგება/(ზარალი)		6,443	2,729
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	19	(11,923)	(12,773)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	10	(1,444)	(23)
ცკეთა და ამორტიზაცია	6,7	(4,446)	(4,086)
კურსთასორისი სხვაობის წმინდა შედეგი	20	(660)	(660)
სხვა საოპერაციო ხარჯები	21	(2,289)	(68)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(14,319)	(14,881)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	22	(648)	(21)
ფინანსური ხარჯები	7, 14	(4,351)	(2,265)
საგადასახადო ხარჯი	16	(1,632)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(20,950)	(17,167)
მოგების გადასახადი		-	-
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(20,950)	(17,167)

გ. ინაიშვილი

ზურაბ ინაიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025



მარია მიქაცაძე

მარია მიქაცაძე

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2023
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(20,950)	(17,167)
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		4,446	4,086
დებიტორული დავალიანების რეზერვი		1,444	23
საპროცენტო ხარჯი		4,351	2,265
საგადასახადო ხარჯი		1,632	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		660	660
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ცვლილებებამდე		(8,417)	(10,133)
(ზრდა) / კლება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში		167	263
(ზრდა) / კლება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		330	4,150
(ზრდა) / კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,150)	(450)
ზრდა / (კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,205	599
ზრდა / (კლება) ანარიცხებში		2,105	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,657	4,562
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების (შეძენა) / ჩამოწერა		474	(5,961)
არამატერიალური აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		56	(2)
აქტივის გამოყენების უფლების (ზრდა)/შემცირება		(84)	(24,314)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		446	(30,277)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები სასესხო ვალდებულებებში		4,407	7,461
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(1,713)	(1,416)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში		-	26
ცვლილება დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციებში		2,996	6,746
საიჯარო ვალდებულების ზრდა/(შემცირება)		(1,302)	21,627
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		4,387	34,444
ფული და ფულის ეკვივალენტების ნეტო ცვლილება		73	(1,405)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,297	2,908
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტზე		1	(206)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	1,371	1,297

ზურაბ ინაიშვილი

მარია მიქაცაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


	შენიშვნა	2023	2023
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(20,950)	(17,167)
კორექტირებები:			
ცვლით და ამორტიზაციის ხარჯი		4,446	4,086
დებიტორული დავალიანების რეზერვი		1,444	23
საპროცენტო ხარჯი		4,351	2,265
საგადასახადო ხარჯი		1,632	-
მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		660	660
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ცვლილებებამდე		(8,417)	(10,133)
(ზრდა) / კლება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში		167	263
(ზრდა) / კლება წინასწარ გაწეულ ხარჯებში		330	4,150
(ზრდა) / კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,150)	(450)
ზრდა / (კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,201	599
ზრდა / (კლება) ანარიცხებში		2,105	-
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,653	4,562
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების (შეძენა) / ჩამოწერა		239	(5,961)
არამატერიალური აქტივების (შეძენა) / ჩამოწერა		56	(2)
აქტივის გამოყენების უფლების (ზრდა)/შემცირება		(84)	(24,314)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		211	(30,277)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ცვლილებები სასესხო ვალდებულებებში		4,407	7,461
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(1,474)	(1,416)
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში		-	26
ცვლილება დამფუძნებელთან განხორციელებულ ოპერაციებში		2,996	6,746
საიჯარო ვალდებულების ზრდა/(შემცირება)		(1,302)	21,627
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		4,626	34,444
ფული და ფულის ეკვივალენტების ნეტო ცვლილება		73	(1,405)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,297	2,908
საკურსო სხვაობის შედეგი ფულზე და ფულის ეკვივალენტზე		1	(206)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	1,371	1,297

ზურაბ ინაიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025



მარია მიქაცაძე

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს "მარლო"
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	ოპერაციები დამფუძნებელთან	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,796	15,320	(4,368)	15,747
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	26	-	-	26
ცვლილება დამფუძნებელთან ოპერაციებში	-	6,746	-	6,746
2023 წლის წმინდა ზარალი	-	-	(17,167)	(17,167)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,822	22,066	(21,536)	5,352
ცვლილება დამფუძნებელთან ოპერაციებში	-	2,995	-	2,995
2024 წლის წმინდა ზარალი	-	-	(20,950)	(20,950)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,822	25,061	(42,485)	(12,603)

ზურაბ ინაიშვილი

მარია მიქაცაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	ოპერაციები დამფუძნებელთან	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,796	15,320	(4,368)	15,747
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	26	-	-	26
ცვლილება დამფუძნებელთან ოპერაციებში	-	6,746	-	6,746
2023 წლის წმინდა ზარალი	-	-	(17,167)	(17,167)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,822	22,066	(21,536)	5,352
ცვლილება დამფუძნებელთან ოპერაციებში	-	2,995	-	2,995
2024 წლის წმინდა ზარალი	-	-	(20,950)	(20,950)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,822	25,061	(42,485)	(12,603)

გ. ინაიშვილი

ზურაბ ინაიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

შპს მარლო

თარიღი: 1 ოქტომბერი, 2025



მ. შილაძე

მარია შილაძე

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 1 კომპანია და მისი საქმიანობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "მარლოს" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“) ფინანსურ ინფორმაციას.

შპს მარლო (ს/კ 405385774) დარეგისტრირდა 2020 წლის 8 მაისს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, მ/რ II, კვ. I, კორპ. 1, ბ. 31.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა თბილისში არსებული კაზინოს მართვა. კაზინო მომხმარებლებს სთავაზობს ლაივ და სლოტ თამაშებს, კერძოდ: ამერიკული რულეტკა, ბლექჯეკი, რუსული პოკერი, ტეხას ჰოლდემი, 6 - კარტა პოკერი, 3-კარტა პოკერი და Ultimate პოკერი.

ძირითადი აქციონერები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენს:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
შპს "პანიპა ინვესტმენტს"	63%	63%
სამირ მუდუგოვ	18%	18%
ანტუან პიერ რენო	9%	9%
ზურაბ ინაიშვილი	5%	5%
ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი	5%	5%
	100%	100%

შენიშვნა 2 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მიერ ფასს სტანდარტებით მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. პირვანდელი ღირებულება, ზოგადად, დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში („ლარი“).

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელთაც აქვთ გავლენა წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და დაყოფილია როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

შენიშვნა 3 კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომას მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

ბასს 1-ის შესწორებები: "ვალდებულებების კლასიფიცირება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად" და "გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"

ეს შესწორებები ერთობლიობაში გავლენას ახდენს ვალდებულების კლასიფიკაციაზე მოკლევადიანად ან კოვენანტების მქონე გრძელვადიან ვალდებულებად ("გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით"), ასევე კომპანიის მიერ გამოშვებული კონვერტირებადი იმ სავალო ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რომელსაც გააჩნია კონვერტაციის პირობა. ეს ცვლილება რეტროსპექტულად არის გამოყენებული. ამ ცვლილების ამოქმედების შედეგად, 2023 წელს, გრძელვადიანად კლასიფიცირებულ კონვერტირებად სავალო ვალდებულებას მიენიჭა მოკლევადიანი ვალდებულების კლასიფიკაცია.

ბასს 7-ისა და ფასს 7-ის შესწორებები: "მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმებები"

ზემოაღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, თუმცა, მან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში კომპანიის მომწოდებლების დაფინანსების შეთანხმების ხასიათის ასახსნელად.

4.2 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

შემდეგი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული, მაგრამ შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 9-ისა და ფასს 7-ის შესწორებები- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნების შესწორებები

ეს შესწორებები ცვლის მოთხოვნებს იმის შესახებ, როდის შეიძლება შესწყდეს ფინანსური ვალდებულების აღიარება, თუკი ვალდებულება დაიფარა ელექტრონული გადახდების სისტემის მეშვეობით, ან როდის შეიძლება, რომ ფულადი ნაკადები მიჩნეული იყოს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდად და, მაშასადამე, შესაძლებელი გახდეს ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ კატეგორიად.

მართალია, კომპანიას ჯერ არ დაუსრულებია ზემოაღნიშნული ცვლილებების ზემოქმედების შედეგების შეფასება, მაგრამ ივარაუდობთ, რომ ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსურ ვალდებულებებზე, თუმცა, ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისთან დაკავშირებული ცვლილება გავლენას არ იქონიებს კომპანიაზე.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.2 სტანდარტები, რომელიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ამჟამად კომპანია ჯერ ისევ აწარმოებს ამ შესწორებების გავლენის შეფასებას. ამ ცვლილებების გამოყენება სავალდებულო იქნება 2026 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 18 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები

ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 1-ს – “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა”. მართალია, ბევრი მოთხოვნა უცვლელი დარჩება, მაგრამ ახალი სტანდარტი მაინც გავლენას მოახდენს მოგებისა და ზარალის ანგარიშგების წარდგენაზე და, შესაბამისად, არაპირდაპირ გავლენას იქონიებს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზეც. ამასთან, ახალი სტანდარტი მოითხოვს სუბიექტის საქმიანობის შედეგების ამსახველი ისეთი მაჩვენებლების გამოყენებას, რომლებიც არ მოითხოვება ფასს სტანდარტებით, არამედ ხელმძღვანელობის მიერ არის განსაზღვრული, მაგრამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის შენიშვნებში ასახული ინფორმაციის/მონაცემების აგრეგირებისა და დეზაგრეგირების დონეზე.

ფასს 18 ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის და გამოიყენება რეტროსპექტულად. კომპანია ამჟამად აფასებს, რა გავლენას იქონიებს ორგანიზაციაზე ფასს 18 ამოქმედება.

დღეისთვის არ არსებობს სხვა ახალი სტანდარტი ან შესწორებების დოკუმენტი, რომელიც სავარაუდოდ არსებით გავლენას იქონიებს კომპანიაზე.

4.3 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ზარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ზარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.3 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL). ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას.

შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**4.4 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავეჯი და ინვენტარი	5
მანქანები და აღჭურვილობა	3
კომპიუტერული ტექნიკა	3
სატრანსპორტო საშუალებები	5
კეთილმოწყობა	17

4.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიასა და სასაქონლო ნიშანს.

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოადგენს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლებიც ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს ექვემდებარება ტესტს გაუფასურებაზე.

4.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.7 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

სავაჭრო დებიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და მათი გაზომვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალის თანხით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს საწყისი შეთანხმებული პირობების შესაბამისად მთლიანი თანხის მიღებას. ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით და უიმედო ვალების ზარჯი აღიარდება მოგება-ზარალში ადმინისტრაციულ ხარჯებში. როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღება შეუძლებელია, შესაბამისი მოთხოვნა ჩამოიწერება უიმედო ვალებში. უიმედოდ აღიარებული ვალის შემდგომ პერიოდში დაბრუნების შემთხვევაში შესაბამისი თანხა კრედიტდება ადმინისტრაციული ხარჯების ანგარიშზე.

4.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე.

4.9 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

ვალუტა	31-დეკ-24	31-დეკ-23
აშშ დოლარი	2.8086	2.6894
ევრო	2.9306	2.9753
გირვანქა სტერლინგი	3.5349	3.4228

4.10 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილება (ცვლილება საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში, ა.შ.) ხდება კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით. კაპიტალი აღიარდება, როგორც კომპანიის საწესდებო კაპიტალი იმდენად, რამდენადაც ეს რეალურად პარტნიორთა შენატანია.

ღივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება ბალანსის შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის პირობებში საქონლისა და მომსახურების შეძენაზე წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლისადმი. კრედიტორული დავალიანება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ხდება მისი გადაფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

4.12 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს მოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

4.13 შემოსავლის აღიარება

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს კაზინოს შემდეგ თამაშებს: სამაგიდე თამაშები და სლოტ აპარატები ("ფსონები და თამაშების საქმიანობები").

კომპანიის ფსონებისა და თამაშების საქმიანობები კლასიფიცირდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით ფასს 9-ის ფარგლებში, რადგან შემოსავალი კაზინოს თამაშებიდან წარმოადგენს წმინდა მოგებებს, ფსონების ოდენობას გამოკლებული კლიენტების მოგებები და წარმოდგენილია პერიოდის განმავლობაში გაწეული მომხმარებლების წახალისებების და ბონუსების გამოკლებით. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორც დახურულ პოზიციებზე რეალიზებული ამონაგები და ზარალი.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის გზით. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, კომპანია ტრანზაქციის ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს მომხმარებელს კონტროლს საქონელზე ან მომსახურებაზე.

4.14 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

4.15 გადასახადები

მოგების გადასახადი წლიურ მოგებაზე შედგება მიმდინარე გადასახადისგან, მოგების გადასახადი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრული შემოსავლის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაკავშირებულია ისეთ ერთეულებთან რომლებიც აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, რა შემთხვევაშიც ის აღიარდება კაპიტალში.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.15 გადასახადები (გაგრძელება)

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი გადასახადი, რომელიც გადაიხდება დასაბეგრ შემოსავალზე წელიწადში, გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთებით რომელიც გამოიყენებოდა ბალანსი თარიღისათვის ან ამოქმედდა, და რაიმე შესწორება დაკავშირებული გადასახდელ გადასახადთან წინა წლებთან დაკავშირებით. სათანადო საგადასახადო დელკარაციის წარდგენის შემთხვევაში, საგადასახადო მოგება ან ზარალი დაფუძნებულია შეფასებაზე. საგადასახადო ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ უფრო მკაცრ პოზიცია, გადასახადების ინტერპრეტირების და საგადასახადო გამოთვლების განხილვაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ დამატებითი გადასახადები იმ გარიგებებისთვის, რისთვისაც არ მოითხოვდნენ ადრე. შედეგად მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები და ჯარიმები შეიძლება წარმოიშვას. საგადასახადო განხილვა შეიძლება მოიცავდეს 3 კალენდარულ წელს დაუყოვნებლივ გადახედვას. მიმდინარე გარემოებაში საგადასახადო განხილვამ შეიძლება მოიცვას მეტი პერიოდი.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომპარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგრის მომენტის გადატანა მოგების გამოუმუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)

ბ) არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

გ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

დ) საკრედიტო ზარალის განსაზღვრა

კომპანია მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს, მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს.

ე) ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

შენიშვნა 6 ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და ინვენტარი	მანქანები და ალჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
ისტორიული ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბერი	1,450	3,451	441	-	14,183	19,525
შეძენა	2,530	739	83	283	15,346	18,981
გასვლა	(39)	(262)	(1)	-	(12,718)	(13,020)
2023 წლის 31 დეკემბერი	3,941	3,928	523	283	16,811	25,486
შეძენა	46	33	11	-	-	90
გასვლა	(9)	(545)	(10)	-	-	(564)
2024 წლის 31 დეკემბერი	3,978	3,416	524	283	16,811	25,012

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 6 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

	ავეჯი და ინვენტარი	მანქანები და აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
აკუმულირებული ცვეთა						
2022 წლის 31 დეკემბერი	(6)	-	(53)	-	-	(59)
პერიოდის ცვეთა	(681)	(1,187)	(172)	(15)	(578)	(2,633)
გასვლა	3	-	-	-	-	3
2023 წლის 31 დეკემბერი	(684)	(1,187)	(225)	(15)	(578)	(2,689)
პერიოდის ცვეთა	(798)	(1,205)	(180)	(57)	(989)	(3,229)
გასვლა	3	226	6	-	-	235
2024 წლის 31 დეკემბერი	(1,479)	(2,166)	(399)	(72)	(1,567)	(5,683)
საბალანსო ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბერი	1,444	3,451	388	-	14,183	19,466
2023 წლის 31 დეკემბერი	3,257	2,741	298	268	16,233	22,797
2024 წლის 31 დეკემბერი	2,499	1,250	125	211	15,244	19,329

შენიშვნა 7 აქტივების გამოყენების უფლება

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართი სათაო ოფისისთვის. ყველა საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია აშშ დოლარში. ამორტიზაციის ხარჯი მთლიანად დაერიცხა ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,731
ცვეთა	(1,452)
მოდიფიკაცია	23,962
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,241
ცვეთა	(1,243)
მოდიფიკაცია	85
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23,083

საიჯარო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 22,688 ათას ლარს (2023 წელი: 21,971 ათასი ლარი). საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე სრული შემოსავლების ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც საპროცენტო ხარჯი და შეადგენს 2,019 ათას ლარს (2023 წელი: 612 ათასი ლარი).

გრძელვადიანი იჯარებისთვის გადახდილი მთლიანი ფულადი სახსრები 2024 წლისთვის იყო 1,713 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით (2023 წელი: 1,416 ათასი).

შენიშვნა 8 არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე პროგრამული უზრუნველყოფისგან, რომლის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 430 ათას ლარს (2023 წელი: 486 ათასი ლარი). 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში გასული ძირითადი საშუალებების პირვანდელმა ღირებულებამ შეადგინა 56 ათასი ლარი. მოცემული პერიოდისათვის არ არსებობს რაიმე ინდიკატორი, რასაც შეიძლება გამოეწვია არამატერიალური აქტივების ღირებულების გაუფასურება.

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 9 მარაგები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
კაზინოს ინვენტარი	435	428
საკვები და სასმელები	225	244
უნიფორმა	169	286
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	143	134
ტექნიკური უზრუნველყოფა	137	137
სამზარეულოს ინვენტარი	29	29
საწვავი	2	5
სარემონტო მასალები	-	44
სულ მარაგები	1,140	1,307

შენიშვნა 10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო მოთხოვნები	707	401
პარტნიორებისგან მისაღები სააბონენტო გადასახადები	28	27
ბანკისგან მისაღები თანხები	9	16
სხვა მოთხოვნები	1,014	170
გაუფასურების ანარიცხი	(1,467)	(23)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	291	592

საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი

2022 წლის 31 დეკემბერი	-
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(23)
2023 წლის 31 დეკემბერი	(23)
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	(1,444)
2024 წლის 31 დეკემბერი	(1,467)

შენიშვნა 11 წინასწარ გაწეული ხარჯები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიმდინარე აქტივი:		
კაზინოს ლიცენზიისათვის გადახდილი ავანსები	1,093	1,338
გადახდილი ავანსები	483	568
სულ წინასწარ გადახდილი ხარჯები	1,576	1,906

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 12 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული სალაროში	1,228	944
ქართული ლარი (GEL)	142	353
აშშ დოლარი (USD)	1	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,371	1,297

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

კომპანიის ფულადი სახსრების უმეტესობა არის იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია როგორც "BB სტაბილური", "B დადებითი" (გრძელვადიანი) და "B"-ის მქონე (მოკლევადიანი) რეიტინგი.

შენიშვნა 13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის დამფუძნებლების მიერ და ფორმირებულია ფაქტობრივი შენატანებითა და მოთხოვნით ფულადი შენატანების შესახებ.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია 4,822 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 4,822 ათასი ლარის ოდენობით).

დამფუძნებლებისგან პროცენტის შეღავათის გამო მიღებული სესხების ნომინალურ და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება კაპიტალში დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციების მუხლში. სხვა რეზერვები ასევე მოიცავს დამფუძნებელთა თანამფლობელობაში არსებული კომპანიის მიერ შპს "მარლოს" სახელით გადახდილ წინასწარ საიჯარო ქირას. სხვა რეზერვების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 25,062 ათას ლარს (2023 წელი: 22,066 ათას ლარი).

შენიშვნა 14 სასესხო ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
დაკავშირებული მხარის სესხები აშშ დოლარში	20,606	15,313
დაკავშირებული მხარის სესხები ევროში	9,075	8,479
სულ სასესხო ვალდებულებები	29,681	23,792

საკრედიტო ხაზის ფარგლებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მიღებული აქვს სესხი ძირითადი დამფუძნებლისგან 24,333 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელი: 23,781 ათასი ლარი). ხელშეკრულების თანახმად, სესხის სარგებელი განსაზღვრულია 0%-ით და სასესხო ვალდებულების ვადად განსაზღვრულია 2031 წლის 10 მაისი. ფასს 9-ის მოთხოვნების თანახმად, სესხი თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სესხის აღების თარიღში მოცემული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. სესხის ნომინალურ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა ასახულია კაპიტალის მუხლში, როგორც დამფუძნებლებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები. სესხების შემდგომი შეფასებისათვის გამოყენებულია ამორტიზირებული ღირებულება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის სესხზე დარიცხული პროცენტი ასახულია ფინანსური ხარჯის სახით, რაც 2024 წლისთვის 2,144 ათას ლარს (2023 წელი: 1,500 ათასი ლარი).

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,130	1,173
საგადასახადო ვალდებულებები	2,591	256
თანამშრომლების მიმართ ვალდებულებები	78	160
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არარეზიდენტებისთვის	2	5
არასახელფასო ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2	4
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,803	1,598

შენიშვნა 16 საგადასახადო ანარიცხები

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება სლოტ აპარატების Gross Gaming Result-ის დაბეგვრაზე მოგების გადასახადით 15%-იანი განაკვეთით ყოველთვიურად. გარდა ამისა, სლოტ აპარატების ნაწილში ნებისმიერი განაცემი იბეგრება 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით. მოცემულთან დაკავშირებით კომპანიის ბალანსზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია საგადასახადო ანარიცხები 3,737 ათასი ლარის ოდენობით (2023 წლის 31 დეკემბერი: 0 ლარი), ხოლო წარმოქმნილი საგადასახადო ხარჯი შეადგენს 1,632 ათარ ლარს (2023 წელი: 0 ლარი).

შენიშვნა 17 შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი ლაივ და სლოტ თამაშებიდან	22,318	16,981
თიფსები	1,599	1,258
F&B შემოსავალი	149	75
სულ შემოსავალი	24,066	18,314

შენიშვნა 18 საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
სანებართვო მოსაკრებელი ხარჯები	8,282	7,666
მარკეტინგის ხარჯი	2,928	1,172
მომხმარებელთან დაკავშირებული ხარჯები	2,372	1,598
საიჯარო ხარჯი	552	626
მომსახურების თვითღირებულება	548	677
კომუნალურები	546	594
მივლინების ხარჯები	497	297
საგადასახადო ხარჯი	334	577
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	304	416
პროფესიული მომსახურების ხარჯი	279	234
ტრანსპორტირების ხარჯი	207	160
საპენსიო ხარჯი	201	207
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	183	533
დასუფთავების ხარჯი	130	264
მარაგების ხარჯი	49	327

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 18 საოპერაციო ხარჯები (გაგრძელება)

	2024	2023
ყოველდღიური საოპერაციო ხარჯი	78	63
კომუნიკაციის ხარჯები	56	67
დაცვისა და უსაფრთხოების ხარჯები	35	25
საწვავის ხარჯი	2	8
სხვა ხარჯები	42	69
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	15
სულ საოპერაციო ხარჯები	17,625	15,595

საიჯარო ხარჯი ძირითადად სლოტ აპარატების ქირის მოკლევადიან საიჯარო ხელშეკრულებებს უკავშირდება.

შენიშვნა 19 ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	10,241	11,374
თიფსები	1,525	1,220
ჯანმრთელობის დაზღვევა	157	179
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	11,923	12,773

შენიშვნა 20 კურსთასორისი სხვაობის წმინდა შედეგი

2024 წელი

	მოგება	ზარალი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	294	(294)	-
გადახდილი ავანსები	-	-	-
სასესხო ვალდებულებები	127	(789)	(662)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	(20)	(4)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	-	7
სხვა მოთხოვნები	-	(1)	(1)
სულ კურსთასორისო სხვაობის წმინდა ეფექტი	444	(1,104)	(660)

2023 წელი

	მოგება	ზარალი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	233	(439)	(206)
გადახდილი ავანსები	4	(11)	(7)
სასესხო ვალდებულებები	2,875	(3,442)	(567)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,595	(3,239)	356
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	(235)	(231)
სხვა მოთხოვნები	-	(5)	(5)
სულ კურსთასორისო სხვაობის წმინდა ეფექტი	6,711	(7,371)	(660)

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 21 სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგენს 2,289 ათას ლარს, რაც მტკიცებულ მოიცავს საგადასახადო ჯარიმაზე დარიცხულ საურავს (2023 წელი: 68 ათასი ლარი).

შენიშვნა 22 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

	2024	2023
მარაგების ჩამოწერა	(181)	-
მარაგების გაუფასურება	(44)	-
გრძელვადიანი იჯარების მოდიფიკაცია	(325)	122
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	(98)	(143)
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(648)	(21)

შენიშვნა 23 პირობითი ვალდებულებები, ანარიცხები და საოპერაციო რისკები

23.1 სასამართლო დავები

პერიოდულად, საქმის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელი. მიმდინარე ეტაპზე კომპანია არ არის ჩართული რაიმე სასამართლო დავაში, რომელშიც შეიძლება წარმოადგენდეს მოსარჩელეს ან მოპასუხეს. ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

23.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. შესაბამისმა საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა დაიწუნონ ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის და საქმიანობისთვის განხორციელებული ტრანზაქციების ინტერპრეტაცია. საგადასახადო ორგანოები ხშირად იკავებენ უფრო მტკიცებით პოზიციას კანონმდებლობის და შეფასებების ინტერპრეტირებისას. შედეგად, შესაძლებელია დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და პროცენტების დაწესება.

შენიშვნა 24 ფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკის მართვა (გავრცელება)

24.1 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ფული და ფულადი ეკვივალენტები	1,371	1,297
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	291	424
სულ ფინანსური აქტივები	1,662	1,721

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებსა და მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან, რომელთა საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისათვის.

24.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,371	-	-	1,371
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	291	-	-	291
სულ ფინანსური აქტივები	1,662	-	-	1,662

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

24.2 ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,803	-	-	3,803
სასესხო ვალდებულებები	-	-	29,681	29,681
საიჯარო ვალდებულება	1,222	3,509	17,957	22,688
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,025	3,509	47,638	56,172
ლიკვიდურობის პოზიცია	(3,363)	(3,509)	(47,638)	(54,510)

ლიკვიდურობის რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,297	-	-	1,297
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	592	-	-	592
სულ ფინანსური აქტივები	1,889	-	-	1,889
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,598	-	-	1,598
სასესხო ვალდებულებები	-	-	23,792	23,792
საიჯარო ვალდებულება	648	1,234	20,089	21,971
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,246	1,234	43,881	47,361
ლიკვიდურობის პოზიცია	(357)	(1,234)	(43,881)	(45,472)

24.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიას არ აქვს საპროცენტო რისკის მატარებელი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

24.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. ორგანიზაციას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად.

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

24.4 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრისათვის

	წარმოდგენილი				სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა	
	გამოსახული ათას ლარში				ლარში
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	703	627	41	-	1,371
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	799	959	-	-	1,758
სულ ფინანსური აქტივები	1,502	1,586	41	-	3,129
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,803	-	-	-	3,803
მიღებული სესხები	-	20,606	9,075	-	29,681
საიჯარო ვალდებულება	-	22,688	-	-	22,688
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,803	43,294	9,075	-	56,172
სავალუტო პოზიცია	(2,301)	(41,708)	(9,034)	-	(53,043)

2023 წლის 31 დეკემბრისათვის

	წარმოდგენილი				სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	სხვა	
	გამოსახული ათას ლარში				ლარში
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	354	943	-	-	1,297
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	614	-	-	-	614
სულ ფინანსური აქტივები	968	943	-	-	1,911
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,598	-	-	-	1,598
მიღებული სესხები	-	15,313	8,479	-	23,792
საიჯარო ვალდებულება	-	21,971	-	-	21,971
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,598	37,284	8,479	-	47,361
სავალუტო პოზიცია	(630)	(36,341)	(8,479)	-	(45,450)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს იმ შესაძლო ეფექტს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე, რომელსაც გამოიწვევს აშშ დოლარი/ლარის, ევრო/ლარისა და გირვანქა სტერლინგი/ლარის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებები.

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

24.4 სავალუტო რისკი (გაგრძელება)

2024 წელი				2023 წელი		
ვალუტა აშშ დოლარი	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
	(10%)	4,171	3,545	(10%)	3,634	3,089
	(20%)	8,342	7,090	(20%)	7,268	6,178
	10%	(4,171)	(3,545)	10%	(3,634)	(3,089)
	20%	(8,342)	(7,090)	20%	(7,268)	(6,178)
2023 წელი				2023 წელი		
ვალუტა ევრო	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე	ცვლილება კურსში	გავლენა მოგებაზე	გავლენა კაპიტალზე
	(10%)	903	768	(10%)	848	721
	(20%)	1,807	1,536	(20%)	1,696	1,441
	10%	(903)	(768)	10%	(848)	(721)
	20%	(1,807)	(1,536)	20%	(1,696)	(1,441)

შენიშვნა 25 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშგებულ საწარმო").

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშგებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშგებულ საწარმოს;

(ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგებულ საწარმოზე; ან

(iii) არის ანგარიშგებულ საწარმოს ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშგებულ საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშგებულ საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საჭმადობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;

შპს "მარლო"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ათას ლარში

შენიშვნა 25 დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

(v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2024	2023
ხელფასი და პრემია	619	589

შენიშვნა 26 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

შენიშვნა 27 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებლებთან არსებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში 2025 წლის საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ დამატებით მიიღო სესხი 10,087 ათასი ლარის ეკვივალენტის ღირებულებით.

2025 წლის 1 აპრილს კომპანიამ მიმართა შესაბამის საგადასახადო ორგანოს საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით. 2025 წლის მაისში კომპანიასა და შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული საგადასახადო შეთანხმების თანახმად კომპანიამ მიიღო შეღავათი საგადასახადო დავალიანების 100%-ით, ხოლო ჯარიმისა და საურავის 50%-ის გადახდის თაობაზე, ჯამში 1,169 ათასი ლარის ოდენობით.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

01.10.2025

მმართველობითი ანგარიში

კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს მარლო დაფუძნდა 2020 წლის მაისში რენო ჯგუფის მიერ. აღნიშნული ჯგუფი დაარსდა 1977 წელს საფრანგეთში და გახდა საერთაშორისო საოჯახო ბიზნესი. ჯგუფში შედის კაზინოები, სასტუმროები და უძრავი ქონება მსოფლიოს 5 კონტინენტზე. შპს მარლო სამორინეს მართვის საქმიანობას ახორციელებს სამარკო სახელით ბლექ ოპალი, რომელიც მდებარეობს პეკინის გამზირი #30-ში. კომპანიამ სამორინეს და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ლიცენზია მოიპოვა 2023 წლის 3 თებერვალს. სამორინე განთავსებულია 2187 კვადრატულ მეტრ ფართობზე და თავის მომხმარებლებს სთავაზობს სამაგიდო და სლოტ თამაშებს.

კომპანიის განვითარების გეგმები

ჯგუფს აქვს მიზანი შესთავაზოს მომხმარებლებს ევროპული დონის სამორინე, დახვეწილი დიზაინით და უახლესი სათამაშო ინვენტარით. კომპანიას აქვს 10 წლიანი განვითარების გეგმა, რომლის განმავლობაში იგეგმება პირველადი განხორციელებული ინვესტიციის ამოღება და თავისუფალი ფული ნაკადების რეპატრაცია.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები და საპროგნოზო მომავალში არ აპირებს ამ მიმართულებით საქმიანობის გაფართოებას.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

კომპანიის დაარსებამდე ჯგუფმა აწარმოა ადგილობრივი ბაზრის კვლევები, შეისწავლა რა საკანონმდებლო გარემო, კონკურენტები და მიიღო 20 მლნ დოლარამდე ინვესტირების გადაწყვეტილება. თუმცა ვითარება რადიკალურად შეიცვალა კოვიდ პანდემიის და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად. კერძოდ, აიკრძალა სათამაშო ბიზნესის რეკლამირება, შეიქმნა რეგულაციები, რომლის მიხედვით პრაქტიკულად საქართველოს მოსახლეობის ნახევარს შეეზღუდა სამორინეში თამაში. 2024 წლის 1 იანვრიდან კი სამორინეს საქმიანობას დაემატა ახალი საგადასახადო ტვირთი. პირველი ცვლილებით სლოტებზე გატანილი თანხა დაიბეგრა საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით. მეორე ცვლილებით განისაზღვრა სათამაშო აპარატების სალონის მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი, კერძოდ სათამაშო აპარატების სალონის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისაგან მიღებული ფსონებისა და მოთამაშეებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა, საანგარიშო პერიოდად დაადგინა კალენდარული თვე და მოგების გადასახადის განაკვეთად განსაზღვრა 2024 წელს 15%, ხოლო 2025 წლიდან 20%. ყოველივე ზემოთ ხსენებულმა ცვლილებმა განაპირობა პირველადი გათვლების იერსახის ცვლილება და გადაწია კომპანიისთვის მოგებაზე გასვლის ვადები.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ აქვს ბაზარზე გამოტანილი აქციები სავაჭროდ და არც თავად შეუძენია აქციები.

ინფორმაცია ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების შესახებ

ბიზნესის თავისებურების შედეგად კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

ლიკვიდურობის რისკი _ არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ ვერ მოახერხოს სახელფასო და მზარდი საგადასახადო ვალდებულებების დროული დაფარვა. ამასთანავე, სწრაფი ლიკვიდურობის და მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტები არის პოზიტიური. რისკის მინიმიზაციისათვის კომპანია დეტალურად გეგმავს ფულადი სახსრების მოძრაობის საპროგნოზო ანგარიშგებას, რათა ყოველთვის ჰქონდეს თავისუფალი ფულადი სახსრები ვალდებულებების დასაფარად.

სავალუტო რისკი _ წარმოიქმნება, როდესაც კომპანიის შემოსავლები, ხარჯები, აქტივები და ვალდებულებები დენომირებულია სხვადასხვა ვალუტაში. კომპანიის შემოსავლების უდიდესი ნაწილი გენერირდება აშშ დოლარში, სახელფასო ვალდებულებების 65% დაფიქსირებულია ასევე აშშ დოლარში, გრძელვადიანი სესხებო ვალდებულებები პარტნიორების წინაშე კი აშშ დოლარში და ევროში. სავალუტო რისკი სასესხო ვალდებულებების მოცულობიდან გამომდინარე არის საკმაოდ მასშტაბური. კომპანიას სავალუტო რისკის მინიმიზაციის მიზნით არ მიმართავს ჰეჯირების ინტრუმენტებს.

საკანონმდებლო რისკი _ საქართველოს ბაზარი აღმოჩნდა არასტაბილური ბაზარი საკანონმდებლო და მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის თვალსაზრისით. ქვეყნის მთავრობა ყოველწლიურად ცვლის და ზრდის საგადასახადო ტვირთს სათამაშო ბიზნესისათვის. აღნიშნული არამიმზიდველს ხდის საქართველოს ბაზარს საინვესტიციო თვალსაზრისით. უცხოელი ინვესტორებისთვის აღნიშნული ცვლილებები არის დამაფიქრებელი, რადგან არსებული საგადასახადო ტვირთი იმდენად დიდი და ფიქსირებულია, რომ ახალი და მცირე ზომის სამორინებებისთვის არამიმზიდველს ხდის საქართველოში სათამაშო ბიზნესში ინვენსტიციის განხორციელებას.

ფინანსური შედეგების მიმოხილვა

2024 საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის ჯამურმა საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 24,046 ათასი ლარი. 2023 წლის იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 18,314 ათას ლარს. კატეგორიების მიხედვით შემოსავლები შედგებოდა:

	2024	2023
შემოსავლები ლაივ და სლოტ თამაშებიდან	22,318	16,981
თიფსები	1,599	1,258
F&B შემოსავალი	149	75
სულ შემოსავალი	24,066	18,314

ფინანსური შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიას არსებობის პერიოდში არ გამოუცხადებია დივიდენდები. საწესდებო კაპიტალის ოდენობა, 2022 წლის 31 დეკემბრისთვის განსაზღვრულია 4,796 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2023 და 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია 4,822 ათასი ლარის ოდენობით.

ზურაბ ინაიშვილი

მარია მიქაცაძე

აღმასრულებელი დირექტორი


ფინანსური მენეჯერი

ფინანსური შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიას არსებობის პერიოდში არ გამოუცხადებია დივიდენდები. საწესდებო კაპიტალის ოდენობა, 2022 წლის 31 დეკემბრისათვის განსაზღვრულია 4,796 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2023 და 2024 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია 4,822 ათასი ლარის ოდენობით.

გ. იანიშვილი

ზურაბ იანიშვილი



მ. შიშკაძე

მარია შიშკაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური და საოპერაციო დირექტორი